

## რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ შევარბილოთ (შევამციროთ) კლიმატის ცვლილება?

რადგანაც უკვე ცნობილია, რომ კლიმატის ცვლილების ერთერთი გამომწვევი მიზეზია ატმოსფეროში სათბურის გაზების კონცენტრაციის ზრდა, ამიტომ მისი შერბილება შესაძლებელი იქნება აღნიშნული გაზების ემისიის (გაფრქვევა) შემცირებით და ამ გაზების მშთანთქმელთა გაძლიერებით.

საქართველომ, როგორც გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციასთან მიერთებულმა ქვეყანამ, ივალდებულა ხელი შეუწყოს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც შეზღუდავდა სათბურის გაზების ემისიას და გააძლიერებდა ამ გაზების მშთანთქმელებს.

ერთერთი მნიშვნელოვანი როლი კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესში აკისრია ტყეს. ცნობილია, რომ 1 ჰა ფართობზე გაშენებული შერეული ტყე წელიწადში საშუალოდ შთანთქავს დაახლოებით 15-25 ტ. CO<sub>2</sub>-ს.

### სათბური გაზები შეიძლება შევამციროთ თუ:

- ✓ წიაღისეულ საწვავს გარდავქმნით სასარგებლო ენერჯიად;
- ✓ დავენერგავთ ახალ ტექნოლოგიებს და გაგზრდით ენერგოეფექტურობას;
- ✓ გამოვიყენებთ ნახშირბადის დაბალი შეცვლადობის მქონე წიაღისეულ საწვავს;

### ეფექტურად გამოვიყენებთ განახლებად ენერჯიის წყაროებს:

- ბიომასის ენერჯიას;
- ქარისა და მზის ენერჯიას.

პრიორიტეტად უნდა ჩავთვალოთ ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების განვითარება და ენერჯიის მიღება ეკოლოგიურად სუფთა განახლებადი წყაროებიდან.

პუბლიკაცია გამიცავს პროექტის „სამოქალაქო ორგანიზაციების თანამშრომლობა მთავრობასთან და სხვა დაინტერესებულ მხრებთან ეროვნულად მისაღები კლიმატის ცვლილების შერბილების ქმედებებზე - NAMA, სოფლად მდგრადი ენერჯიის განვითარების“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია "სემა", სოფლად თემთა განვითარების სააგენტო და საზოგადოების განვითარების ახალციხის ცენტრი, „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის (WECF) თანამშრომლობით, საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ფინანსური მხარდაჭერით.



პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/ დედამიწის მეგობრები-საქართველო საქართველო, თბილისი, მუხაძის ქუჩა №16, 0162  
ტელ: (+995 32) 2234037; (+995 32) 2306221  
ელ.ფოსტა: info@greens.ge  
ვებ-გვერდი: www.greens.ge



## საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო



## გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატის ცვლილება





\* \* \*

ბოლო ათეული წელია, რაც მსოფლიო საზოგადოება განსაკუთრებით აქტიურად საუბრობს გლობალური დათბობით გამოწვეულ კლიმატის ცვლილებაზე. აღიარეს, რომ კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნით, საჭიროა დროული და ეფექტური მოქმედება, აუცილებელია ქვეყნების თანამშრომლობა და ერთობლივი, ეფექტური ღონისძიებების დასახვა გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატის ცვლილების შერბილებისათვის.

**და მაინც, რა არის გლობალური დათბობით გამოწვეული კლიმატის ცვლილება?**

გლობალური დათბობა ეს არის დედამიწაზე ჰაერის მიწისპირა ტემპერატურის თანდათანობითი ზრდა, რომელიც ვერ კიდევ წინაინდუსტრიული პერიოდიდან (დაახლოებით მე-18 საუკუნიდან) დაიწყო და დღემდე გრძელდება.



კლიმატის ცვლილება, კი ეს არის დედამიწის ან კონკრეტული რეგიონის საშუალო ამინდის ცვლილება, რომლის მიზეზს წარმოადგენს ადამიანის სამეწარმეო სამიანობის შედეგად ე.წ. „სათბური გაზების“ ემისიების (გაფრქვევა) და შესაბამისი „სათბური გაზების“ კონცენტრაციის ზრდა ატმოსფეროში. კაცობრიობის ისტორიაში გლობალური კლიმატის ცვლილების სხვადასხვა პერიოდი გამოიყოფა, თუმცა მიმდინარე

კლიმატის ცვლილება გამოწვეულია ადამიანის საწარმოო საქმიანობით და პირდაპირ უკავშირდება ინდუსტრიალიზაციას. ის განსაკუთრებით აქტუალური გახდა მე-20 საუკუნიდან, როდესაც ადამიანმა მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ბუნებრივი რესურსების ინტენსიური ათვისება დაიწყო. მსოფლიო აღმოჩნდა სერიოზული საშიშროების წინაშე, რომ გარემოსადმი გაუაზრებელი მომხმარებელი დამოკიდებულება გამოიწვევდა შეუქცევად პროცესებს, რაც მომავალ თაობებს გაურთულებდა არსებობას. ამიტომ დღის წესრიგში დადგა საკითხი ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად მსოფლიო დონეზე.

ამდენად, 1992 წელს, მსოფლიო მთავრობებმა მიიღეს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია, რომლის საშუალებითაც უნდა, მიღწეულიყო ატმოსფეროში „სათბურის გაზების“ კონცენტრაციების სტაბილიზაცია იმ დონეზე, რომ არ მომხდარიყო კლიმატურ სისტემაზე საშიში ანთროპოგენური ზემოქმედება. საქართველომ კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა 1994 წელს.

**რა არის სათბური გაზები?**

„სათბური გაზებია“ ატმოსფეროში არსებული გაზები, რომლებიც თავისი ფიზიკური თვისებებიდან გამომდინარე შთანთქავენ დედამიწიდან კოსმოსში გასხივებული ენერჯის ნაწილს, ამავდროულად საკუთარი გამოსხივების ხარჯზე დედამიწას უკან უბრუნებენ გარკვეული რაოდენობის სითბოს.

„სათბური გაზებია“ ნახშიროჟანგი (CO<sub>2</sub>), მეთანი (CH<sub>4</sub>) და აზოტის ქვეჟანგი (N<sub>2</sub>O). მიუხედავად იმის, რომ მეთანი, გასაკუთრებით აზოტის ქვეჟანგი უფრო ძლიერი სათბური ეფექტის მქონე გაზებია, ვიდრე ნახშიროჟანგი, ის მაინც ერთერთ მთავარ როლს ასრულებს კლიმატის ცვლილების პროცესში დიდი

ოდენობით ემისიის (გაფრქვევის) გამო.

უნდა გვახსოვდეს, რომ გლობალური დათბობა, არ ნიშნავს რომ დათბება დედამიწის ყველა წერტილში, ამ დროს შეიძლება გაიზარდოს დედამიწის საშუალო ტემპერატურა და მოხდეს ყინულოვანი საფარის აქტიური დნობა და ოკეანის დონის მომატება. ოკეანის დონის აწვევამ კი შეიძლება გამოიწვიოს ზღვისპირა დაბლობი ადგილების სანაპიროების დატბორვა და მტკნარი წყლის დაბინძურება და ა.შ.

**გარაუდობენ, კლიმატის მკვეთრი ცვლილების დროს:**

- ✓ შეიცვლება და გადაგვარდება ეკოსისტემები, უმრავლესობა გაქრება;
- ✓ შეიცვლება ცხოველთა, მცენარეთა სახეობების გავრცელების არე, ან გაქრება;
- ✓ მოხდება რეგიონალური ქარის სისტემის ცვლილება, რაც გავლენას მოახდენს ნალექების გადანაწილებაზე;
- ✓ გახშირდება წყალდიდობები, გვალვა, შტორმი და ქარიშხალი, გლობალურმა დათბობამ შეიძლება გამოიწვიოს ტყის ხანძრები;
- ✓ მოსალოდნელია ახალი სახეობების გაჩენა;
- ✓ მოსალოდნელია მსოფლიოში ზოგიერთი კუნძულის წყლით დაფარვა;
- ✓ ზოგან შემცირდება და ზოგან პირიქით გაიზარდება წყლის რესურსი;
- ✓ მოსალოდნელი გახშირებული წყალდიდობები შეამცირებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე ნიადაგების გამოყენების შესაძლებლობას.

